

სს „სახალხო ბანკი“ Visa PayWave პლასტიკური ბარათების გამოშვების შესახებ აცხადებს

დღეს სს „სახალხო ბანკმა“ Visa PayWave პლასტიკური ბარათების გამოშვების შესახებ განაცხადა. სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ არის პირველი ბანკი, დსთ-ის, ცენტრალური ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რეგიონში, რომელიც ამ ტიპის ბარათებს გამოუშვებს. სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ მომდევნო თვეების განმავლობაში რამდენიმე ათასი Visa PayWave პლასტიკური ბარათის გამოშვებას და 100-მდე უკონტაქტო ტერმინალის დაყენებას აპირებს. საწყის ეტაპზე გადახდის ტერმინალები საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ფარმაცევტული ქსელის “ჰე-ეს-ჰე“-ს ავთიაქებში დაყენდება.

„მოსარული ვარ, რომ ჩვენ გავხდით პირველი ბანკი ასეთ დიდ რეგიონში, რომელმაც ეს ინოვაციური პროდუქტი შესთავაზა საკუთარ მომხმარებელს. იმედი მაქვს, Visa PayWave პლასტიკური ბარათები ფართო გავრცელებას ჰპოვებს ჩვენს კლიენტებში. ჩვენ მრავალი ახალი ტექნოლოგიური ინოვაციის განხორციელებას გპირდებით“, აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK



სს „სახალხო ბანკის“ შესახებ

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: AMB) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი 1.5 მილიონ ფიზიკურ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge